წაგება შემთხვევითი არ იყო

მოსკოვი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი 5 ივნისი.

"სპარტაკი" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0)

"სპარტაკი" პროხოროვი, ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ზენკოვი, ბულგაკოვი, კოკორევი, მირზოევი (ანდრეევი), პისკარიოვი, პაპაევი, რედინი.

"დინამო" გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ებრალიძე, რეხვიაშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (მჭედლიშვილი), ყიფიანი, წერეთელი.

მსაჯი კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

ეს უძველესი, ტრადიციული საფეხბურთო წყვილი: "სპარტაკი"– "დინამო"(თბილისი) სულ ახლახან 28 აპრილს ვიხილეთ მოსკოვში, საკავშირო ჩემპიონატის მატჩში. ასეთ თამაშს მოსკოველი ფეხბურთის მოყვარული უწინ მოუთმენლად ელოდა და საინტერესო ბრძოლის მოლოდინით აფორიაქებული უწყვეტ ნაკადად მოდიოდა სტადიონზე. ხუმრობა იყო? – "სპარტაკი"– "დინამო" (თბილისი)!

მაგრამ ეს სასიამოვო მოლოდინი შორეულ წარსულს ჩაბარდა. გულშემატკივრებს აღარ აღელვებთ ძველი მეტოქეების პრინციპული შეხვედრები, ვინაიდან აღარც "სპარტაკია" ის, რაც იყო, აღარც თბილისის "დინამო" საინტერესოს, უჩვეულოს, ახალს ვეღარაფერს ვხედავთ და საკმაოდ უშინაარსო, შაბლონური 90 წუთის შემდეგ გულგრილად ვწერთ კალენდარში განვლილი მატჩის სტატისტიკურ ანგარიშს. ასე იყო 28 აპრილს, როცა თბილისელებმა უფერულად ითამაშეს, ვერაფრით გამოიჩინეს თავი და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი (4:3). ასე იყო ახლაც, როცა საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი სტუმრებმა კვლავ დაბალ დონეზე, უხალისოდ ჩაატარეს და ისევ წააგეს –1:2, თუმცა ანგარიში ადვილად შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, რომ დინამოელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი პრაქტიკულად აღარ დარჩენოდათ. უბრალოდ, ისინი იღბლად გადაურჩნენ აშკარა გოლებს ანდრეევისა და პისკარიოვის დარტყმების შემდეგ. გუნდი

იღბლად გადაურჩა ამ უსიამოვნო ამბავს... ძელის წყალობით, რომელმაც "თავის თავზე" მიიღო ეს დარტყმები.

მატჩი ტრანსლირებული იყო ცენტრალური ტელევიზიით და ვფიქრობ, არ დამჭირდება იმის მტკიცება, რომ თბილისელებმა ითამაშეს უსისტემოდ, ყოველგვარი აღმავლობის, მობილიზებისა და სტიმულის გარეშე. მაგრამ მთავარი ეს არაა. შეიძლება ვერ ააწყო თამაში რომელიმე კონკრეტულ მატჩში. ვერ განახორციელო ჩანაფიქრი, შეცდომები დაუშვა, მაგრამ შუა მინდორში დღევანდელი თბილისის "დინამოსავით" თამაში დაუშვებელია. ეს ეწინააღმდეგება თანამედროვე ფეხბურთის ელემენტარულ მოთხოვნებს.

შუა მინდორი თბილისელებს რაღაც ფეტიშად აქვთ ქცეული. აქ ისინი ზომაზე მეტადა ყოვნდებიან, გაუთავებლად, გაუმართლებლად ატარებენ ბურთს, მოძრაობენ მინდვრის სიგანეზე, გადასცემენ მხოლოდ უახლოეს პარტნიორს, მხოლოდ მაშინ, როცა ბურთის დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე დგებიან და ეს გადაცემაც ტაქტიკურ ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ მარტოდმარტო აუცილებლობის მომენტით, გამოუვალი მდგომარეობითაა ნაკარნახევი.

თბილისის "დინამო" მუდამ ცნობილი იყო პირველხარისხოვანი თავდამსხმელებით, სწრაფი, ტემპიანი იერიშით, აგრესიულობით, კარში დარტყმით. ახლა ამ ტემპსა და აგრესიულობას ნაკლებად ვხედავთ. გუცაევს და ყიფიანს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ განვლილ მატჩში და ბედნიერ გამონაკლისს მხოლოდ წერეთელი წარმოადგენდა, რომლის აქტიურობა ბოლოს და ბოლოს გოლითაც დაგვირგვინდა.

ჩვენ, მოსკოველები, დიდი ინტერესით შევხვდით გუცაევის გამოჩენას დიდი ფეხბურთში, სიხარულით ვუყურებდით მის "მეტრეველისებურ" თამაშს. ახალგაზრდა ფორვარდი სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს, შარშან მარჯვენა გარემარბებში პირველ ნომრადაც გავიდა 33 საუკეთესოს შორის. ახლა კი ძალიან პასიური და ინერტულია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო გუცაევი სპარტაკელებთან მატჩში და მის ნაცვლად მინდორზე გამოსულმა მჭედლიშვილმა გაცილებით მეტი სარგებლობა მოუტანა გუნდს.

შეტევაში მცველის მონაწილეობა ნორმად იქცა დღევანდელ ფეხბურთში. მოიერიშე მცველები ბევრ გუნდს ჰყავს, მაგრამ თბილისელთა მცველები თავიანთ რეიდებს ხშირ შემთხვევაში თვითმიზნურად, უადგილოდ ასრულებენ და იმდენად მეტოქის კარს არ ემუქრებიან, რამდენადაც საკუთარს აგდებენ ხიფათში. ამ მხრივ მათთვის სამაგალითო უნდა იყოს სპარტაკელი ლოვჩევი, რომელმაც გუცაევის სრული ნეიტრალიზებაც შეძლო, თავის ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებსაც სისტემატურად ეხმარებოდა შეტევისას და გოლიც გაიტანა.

თბილისელებს ხშირად წაუგიათ მოსკოვში თამაში ისე, რომ ტაშით აცილებდნენ მინდვრიდან მაყურებლები. ამჯერად ტაშისთვის ხელი არავის მოუბრუნდა ტრიბუნებზე: გუნდმა ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. მოსკოველებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, დაწინაურდნენ მე–11 წუთზე ლოვჩევის მიერ გატანილი გოლით, შემდეგ კი, 67–ე წუთზე, პისკარიოვმა სწრაფად გამოიყენა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომა და მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

თბილისის "დინამოს" დიდი სამსახური გაუწია წერეთლის მიერ 87–ე წუთზე ბრწყინვალედ გატანილმა გოლმა. მისი წყალობით გუნდს გარკვეული შანსი შეექმნა, რომ წარმატებით იბრძოლოს იმავე "სპარტაკთან" მეოთხედფინალში გასასვლელად განმეორებითს მატჩში, რომელიც თბილისში შედგება 27 ივნისს.

ლელო 7 ივნისი 1973 წ.